ქრისტიანული კულტურის კვლევების ლაბორატორია

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - უნივერსიტეტი) საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის (შემდგომში - ფაკულტეტი) ქრისტიანული კულტურის კვლევების ლაბორატორია (შემდგომში ლაბორატორია) წარმოადგენს ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევით ერთეულს.

2. ლაბორატორია თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „უმაღლესი განათლების შესახებ“, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით, უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესით, ფაკულტეტის დებულებით, წინამდებარე დებულებით, რექტორის ბრძანებებითა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) სხვა სამართლებრივი აქტებით.

3. ლაბორატორიის მისამართია: ქ. თბილისი, კოსტავას ქ. №77ა, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის VI სასწავლო კორპუსი.

. ლაბორატორია საქმიანობას ახორციელებს ამ დებულებით გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად.

მუხლი 2. ლაბორატორიის ძირითადი მიზნები და ამოცანები

1. ლაბორატორიის ძირითადი მიზნებია:

ა) უნივერსიტეტის სივრცეში კულტურის მეცნიერებების მიმართულებით კვლევების გაღრმავება-გაძლიერება;

ბ) თავისი კომპეტენციის ფარგლებში რეკომენდაციების შემუშავება უნივერსიტეტში სწავლების ხარისხისა და დონის ასამაღლებლად, სასწავლო პროცესის შემდგომი სრულყოფისათვის;

გ) ჩატარებული კვლევების შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე კულტურის მეცნიერებების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლების მონაწილეობით ერთობლივი პროექტების განხორციელება;

დ) გამოყენებითი კვლევების გარდა სხვადასხვა სახის ექსპერიმენტების ჩატარება, მათ შორის განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა კულტურის პოლიტიკას, ეროვნული და საკაცობრიო ღირებულებების ურთიერთმიმართებას, მედიას და სხვა სახის სოციალური ინოვაციების შემუშავებასა და განხორციელებას საზოგადოების სხვადასხვა სფეროში.

2. ლაბორატორია თავის საქმიანობას წარმართავს უნივერსიტეტის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან კოორდინაციით, ერთობლივი პროექტების შესაბამისად.

3. ლაბორატორიის ბაზაზე საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით გამოიცემა სამეცნიერო-რეფერირებადი ჟურნალი.

4. ლაბორატორია ახორციელებს თანამშრომლობას საქართველოსა და უცხოეთის შესაბამისი პროფილის სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებთან.
5. ლაბორატორია თავის შესაძლებლობებიდან გამომდინარე უზრუნველყოფს სტუდენტური იდეებისა და ინოვაციების ინფორმაციულ ხელშეწყობას და ორგანიზებას.
6. ლაბორატორია ფაკულტეტის დეკანისა და ლაბორატორიის ხელშეწყობით უზრუნველყოფს კონკრეტული კვლევებისა და აქტივობების ჩატარებას (ანკეტირების სახით) სასწავლო ჯგუფებში უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების სამივე საფეხურის (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) სტუდენტთა ჩართულობით.

მუხლი 3. ლაბორატორიის პერსონალი:

1. ლაბორატორიას ხელმძღვანელობს ლაბორატორიის უფროსი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი. ლაბორატორიის უფროსი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის და ფაკულტეტის დეკანის წინაშე.
2. **ლაბორატორიის ხელმძღვანელი:**

ა) ახორციელებს თანამშრომელთა ყოველდღიური მუშაობის კონტროლს და საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით ახდენს ფაქტებზე რეაგირებას;
ბ) ხელმძღვანელობს თანამშრომლების გამართულ მუშაობას;
გ) ახორციელებს კანონმდებლობითა, უნივერსიტეტის წესდებით და ფაკულტეტის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს
დ) ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის და ფაკულტეტის დეკანის წინაშე.

3. ლაბორატორიის პერსონალის საშტატო რიცხოვნობა და რანგირება განისაზღვრება უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატის) მიერ დამტკიცებული სტრუქტურის და საშტატო ნუსხის შესაბამისად.
4. ლაბორატორიის თანამშრომლებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი.
5. ლაბორატორიის პერსონალის უფლებები და მოვალეობები განისაზღვრება ამ დებულებით, სამუშაოთა აღწერილობებით, უნივერსიტეტის შიდა სამართლებრივი აქტებით და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.
6. ლაბორატორია ყოველწლიურად წარმადგენს ანგარიშს ლაბორატორიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

მუხლი 4. დამატებითი დებულებები

1. ლაბორატორიის პერსონალი ვალდებულია დაემორჩილოს უნივერსიტეტის შინაგანაწესს და დაიცვას უნივერსიტეტში არსებული ხანძარსაწინააღმდეგო და შრომის უსაფრთხოების წესები.

2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული წინამდებარე დებულებით (ქონება, ფინანსები, პროგრამების შემუშავების პროცედურები და სხვა) რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, ფაკულტეტის დებულებით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) სამართლებრივი აქტებით.

მუხლი 5. ლაბორატორიის რეორგანიზაცია

ლაბორატორიის გარდაქმნა, რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია ხორციელდება უნივერსიტეტის წესდების შესაბამისად.